სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/167

ქ. თბილისი 26 ივნისი 2018

„სტუ-ის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის“ ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 ივნისის №01-05-02/12 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. ნაწილობრივ შეიცვალოს „სტუ-ის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“ და მას დაემატოს 3^4 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

   „3^4. გამოცდის შედეგების გასაჩივრება

   3^4.1. სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება გამოცდაზე მიღებულ შეფასებას, უფლებამოსილია, შედეგის ოფიციალური გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს მეორე დღისა, დასაბუთებული საჩივრით მიმართოს დეკანს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა;

   3^4.2. საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს დეკანის გადაწყვეტილების საფუძველზე შექმნილი დარგობრივი კომისია;

   3^4.3. იმ შემთხვევაში, თუ საკითხის განხილვისას გამოიკვეთა სტუ-ის ეთიკის კოდექსითა და დისციპლინარული პასუხისმგებლობით დადგენილი ნორმების დარღვევის ნიშნები, საკითხი შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცემა შესაბამისი დისციპლინარული წარმოების განმახორციელებელ ორგანოს“.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**